რეგიონის ეკონომიკაში დარგობრივი კლასტერული სტრუქტურების ფორმირების თეორიული საფუძვლები

ვახტანგ დათაშვილი –
სტუ-ს პროფესორი
E-mail: social-economica@mail.ru
ნატო გიორგაძე –
სტუ-ს დოქტორანტი
natalygiorgadze@yahoo.com

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე დონე აუცილებელს ხდის სამეურნეო პრაქტიკაში წარმოების ორგანიზების პრინციპულად ახალი ფორმების შექმნასა და შემდგომ გამოყენებას. ვერც რეგიონული სისტემების ეკონომიკური განვითარების სტაბილურობა, ვერც მისი მეურნე სუბიექტების ფუნქციონირების ამაღლება უკვე ვეღარ მოხდება მენეჯმენტის სტანდარტული ხერხებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით. სწორედ ეს გარემოება უბიძგებს ადგილობრივ და საზღვარგარეთელ მეცნიერებს კვლევის მიზნად დაისახონ ეკონომიკური ინტეგრაციის იმგვარი ახალი მექანიზმების ფორმირება და განვითარება, რომლებსაც ექნებათ მულტიპლიკაციური და სინერგეტიკული ეფექტების მიღწევის უნარი. დღეისათვის საწარმოო ძალთა ორგანიზების ყველაზე ეფექტიან ფორმებს შორის ცალკეული რეგიონების ან ტერიტორიების ფარგლებში მოქმედ ეკონომიკურ კლასტერებს გამოყოფენ.

კლასტერული მიდგომის თეორიულ საკითხებზე მთელი რიგი ავტორები მუშაობენ, რის გამოც სადღეისოდ შეგვიძლია გამოვყოთ კლასტერების განმარტების მიმართ მნიშვნელოვანი რაოდენობის მიდგომები და მათი კლასიფიკაციები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან მასშტაბებით, მიმართულებით და ა.შ.

მთლიანობაში და ზოგადად, „კლასტერი" ცალკეული ელემენტების ერთგავარი ერთობლიობაა, რომლებიც ერთ მთლიანობას აყალიბებენ კონკრეტული ფუნქციების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. ამ ელემენტების ერთობლიობა უფრო ეფექტიანად ფუნქციონირებს, ვიდრე თითოეული ელემენტი ცალ-ცალკე.

ეკონომიკური კლასტერების მიერ წარმოქმნილ მნიშვნელოვან უპირატესობებს მრავალი სხვადასხვა ავტორი აღნიშნავს. ეკონომიკური აზრის ამ მიმართულების განვითარების ფუძემდებელ მეცნიერებს შორის შეგვიძლია დავასახელოთ ა. მარშალი. კერძოდ, აღსანიშნავია მისი ნაშრომი „ეკონომიკური მეცნიერების პრინციპები", რომლის ფარგლებშიც მან დიდი ბრიტანეთის სამრეწველო რაიონები გამოიკვლია. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომში მარშალს არ შემოუტანია „ლოკალიზებული წარმოების" ან „სამრეწველო ზონების" დამახასიათებელი არავითარი კონკრეტული ტერმინი. თუმცა, მათი თვისებების აღწერა იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ ამ შემთხვევაში საუბარია საწარმოებს შორის შრომის დანაწილების საკმაოდ მაღალი დონის მქონე კლასტერებზე[1] . მარშალმა ფაქტობრივად განსაზღვრა კლასტერების როგორც საწარმოო ძალთა ორგანიზების ისეთი ახალი ფორმის ორგანიზაციულ-ეკონომიკური წანამძღვრები, რომელსაც მულტიპლიკაციური და სინერგეტიკული ეფექტების „განდევნის" უნარი აქვს.

ავტორმა თავის ნაშრომებში გამოყო ის ეკონომიკური სტრუქტურები, რომელთა გულმოდგინე მუშაობა კონკრეტული ტერიტორიის საზღვრებში მოქმედი მსგავსი მცირე ბიზნესების დიდი რაოდენობით კონცენტრირებაზეა დაფუძნებული. იგი განიხილავს „გარემოცვის ეფექტებს", რომლებიც არანაკლებ როლს თამაშობენ ბიზნესის განვითარებაში. „გარემოცვის ეფექტს" ან „გარე ეკონომიებს" მარშალი უწოდებს დაუგეგმავ სარგებელს, აგრეთვე, საქმიანობის წარმართვით მიღებულ თანმდევ პროდუქტებს.[2] მის ნაშრომებში აქცენტირებულია როგორც ახალი ეკონომიკური ეფექტის უზრუნველყოფა, ისე იმ იდეების რეალიზების მაღალეფექტიანობა, რომლებიც ერთიანი ეკონომიკური სივრცის საზღვრებში ინტეგრირებული ბიზნეს-სტრუქტურების ფორმირებისკენაა მიმართული.

აღნიშნული საკითხის კვლევაში მარშალის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წვლილი იყო იმ სინერგეტიკული ეფექტების გამოყოფა, რომლებიც მეურნე სუბიექტების გაერთიანებისა და მათი სპეციალიზაციის ზრდისას ჩნდება. ამ ფორმულირების საფუძველზე, საწარმოთა კლასტერი მათი დარგობრივი ან გეოგრაფიული კონცენტრაციაა, რომელიც უზრუნველყოფს „გარე ეკონომიის" ეფექტის მიღებას და ამას განაპირობებს მოწყობილობის, ნედლეულის, მასალების მომწოდებლებთან ურთიერთქმედება და ვიწრო სპეციალიზაციის მქონე მუშაკთა ჯგუფების ფორმირება.[3]

ტერმინ „კლასტერს" და მის მსგავს სხვა დეფინიციებს ის ავტორებიც იყენებდნენ, რომლებიც სხვადასხვა დარგს შორის ტექნოლოგიური კავშირის პრობლემებს იკვლევდნენ, რადგანაც კლასტერი სხვადასხვა სფეროს ფირმებს აერთიანებს საბოლოო პროდუქტის წარმოების მიზნით.

კერძოდ, ერთმანეთთან ტექნოლოგიურად დაკავშირებული ეკონომიკური სექტორების აღწერისათვის ფრანგმა ეკონომისტებმა ი. ტოლენადომ და დ. სოლიემ შემოიღეს „ფილიერების" ცნება, რომელსაც იყენებდნენ ტექნოლოგიურად ურთიერთდაკავშირებული სექტორების ჯგუფების აღსაწერად. ეს „კლასტერის" თავდაპირველი სახელწოდებაა. კლასტერების წარმოქმნის მთავარ მიზეზებად ეს მკვლევარები ასახელებენ არამსხვილ მწარმოებლებს შორის საკმაოდ მჭიდრო ტექნოლოგიური ურთიერთკავშირების ორგანიზებისთვის წანამძღვრების ფორმირებას და იმ უპირატესობათა გამოყენების მაღალ პოტენციალს, რომლებიც ეკონომიკის ურთიერთდაკავშირებულ სექტორებში მცირე ორგანიზაციების კლასტერების წარმოქმნისას ჩნდება. გარდა ამისა, ხსენებული მეცნიერები ხაზს უსვამენ კლასტერების მაღალეფექტიანობას შიდა და გარე დარგობრივი ტექნოლოგიური კავშირების განმტკიცების ნაწილში.[4]

„კლასტერის" ცნება სხვა ტერმინებითაა გამოხატული იმ ნაშრომებში, რომლებიც წამყვანი შვედური კორპორაციების განვითარების ტენდენციების კვლევებს ეძღვნება. მაგალითად, ე. დაჰმენი განიხილავს ე.წ. „განვითარების ბლოკებს", რომლის დროსაც ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკის ერთი წყება სექტორების განვითარების უნარსა და სხვა სექტორებში მიღწეულ მაღალ შედეგებს შორის კავშირების დაფიქსირების მნიშვნელობაზე.[55]

სხვა შვედი მკვლევარი ლ.გ. მატსონი თავის შრომებში აღწერს სხვადასხვაგვარ ფორმათა შიდაკლასტერულ ურთიერთკავშირებს.[6]

რეგიონის ან სახელმწიფოს კონკურანტუნარიანობასა და კლასტერების განვითარების დონეს შორის ურთიერთდამოკიდებულებათა კვლევას ეძღვნება მ. პორტერის შრომები. იგი კლასტერს უწოდებს ტერიტორიულად მეზობლად მყოფი, ურთიერთდაკავშირებული ფირმებისა და მათთან დაკავშირებული კომპანიების ჯგუფს, რომლებიც გარკვეული სფეროს ფარგლებში ფუნქციონირებენ და ავსებენ ერთმანეთს.[7]

პორტერის განმარტება განსაკუთრებით უსვამს ხაზს კლასტერების საქმიანობის სამ ძირითად ასპექტს:

1. საწარმოებს შორის ურთიერთკავშირები კლასტერის შიგნით. კლასტერი ერთმანეთთან დაკავშირებული ფირმების ქსელის ფორმაა, კავშირების გაღრმავება კი კლასტერის განვითარების დონის ამაღლების ნიშანია.

2. გეოგრაფიული ლოკალიზება. კლასტერი შეიძლება მდებარეობდეს როგორც ერთი ქალაქის ფარგლებში, ისე მთელი სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ტერიტორიაზე.

3. კლასტერის დარგებს შორის ტექნოლოგიური კავშირები. კლასტერის ტერიტორიაზე შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა დარგის საწარმოები, რომლებიც ტექნოლოგიურად არიან ერთმანეთთან კავშირში. ყველაზე ხშირად ესაა მზა პროდუქციის ან თანმდევი პროდუქციის მწარმოებელი ფირმები; წარმოების ფაქტორების, მანქანების, კვანძების და მომსახურების მიმწოდებლები; ფინანსური ინსტიტუტები და ა.შ.

თავის ნაშრომებში პორტერმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო კლასტერის სხვადასხვა დარგს შორის ურთიერთდამოკიდებულებათა კვლევას. მუდმივი კონკურენციის პირობებში ძირითადი კონკურენტული უპირატესობები შეიძლება იმყოფებოდეს არა ფირმის შიგნით, არამედ მის გარეთ - მომწოდებლებში, პარტნიორებში ან შვილობილ ფირმებში. ტერიტორიულ კონკურენტულ უპირატესობებს უზრუნველყოფს ერთმანეთთან კავშირში მყოფი დარგების ჯგუფების კონკურენტუნარიანობა. ყოველი კონკურენტუნარიანი დარგი განვითარების სასიკეთო პირობებს უქმნის მეორეს ურთიერთობათა სულ უფრო გაღრმავების ფარგლებში. მაღალი კონკურენტუნარიანობით გამორჩეული დარგი შეიძლება მასთან დაკავშირებული სხვა დარგების განვითარების დრაივერი გახდეს. ამას განაპირობებს მზა პროდუქციის მიმართ მოთხოვნათა ზრდა, ტექნოლოგიური მხარდაჭერა და ინოვაციების გაცვლა.

ეს პროცესი საპირისპირო მიმართულებითაც შეიძლება მიმდინარეობდეს. დაბალი კონკურენტუნარიანობის მქონე დარგს შეუძლია სხვა დარგების დაქვეითებაც გამოიწვიოს, თუკი იგი მათი პროდუქციის ძირითადი მომხმარებელია. რეგიონული და ეროვნული კონკურენტუნარიანობის კვლევებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში პორტერი კლასტერებს იკვლევს მათი მაფორმირებელი დარგების დონეზე. მისთვის ანალიზის ძირითადი ინსტრუმენტი კლასტერების სქემის დამუშავებაა.

კლასტერებს ყველაზე ხშირად აყალიბებენ ტერიტორიულად ლოკალიზებული კომპანიები, რომლებიც ცალკეულ საწარმოო სექტორში სპეციალიზდებიან. ეს უფრო მეტად ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს, სადაც მცირე და საშუალო საწარმოები სტაბილური ეკომომიკური ზრდის ბაზას წარმოადგენენ. ზოგიერთი მეც-

ნიერ-ეკონომისტი კლასტერებად მცირე საწარმოების გაერთიანებას ეკონომიკის გლობალიზაციის მზარდი ტემპების და საერთაშორისო კონკურენციის გამძაფრების პირობებში მათი შენარჩუნების ერთადერთ გზად მიიჩნევს.[8]

კლასტერის პორტერისეული გაგება შეიძლება შევადაროთ „ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის" ცნებას, რომელიც საწარმოო ძალთა განვითარების საბჭოურ თეორიაში არსებობდა.[9] მათ შორის ძირითადი განსხვავებაა კომპლექსურობიდან და ავტარკიზაციიდან კოოპერაციასა და კონკურენციაზე გადასვლა, რომელიც ხორციელდება ორგანიზაციისა და მართვის ფაქტორის როგორც კონკურენტულ უპირატესობათა მიღწევის საფუძვლის გამოყენების ბაზაზე.

ლ. ე. იანგი კლასტერს უწოდებს იმ ფირმათა ჯგუფს, რომლებიც ერთმანეთთან ძალიან ახლოს მდებარეობენ. ეს ავტორი კლასტერების შემდეგ ნიშან-თვისებებს გამოყოფს: მსხვილ უმაღლეს სასწავლებლებთან გეოგრაფიული სიახლოვე, არამსხვილი კერძო ფირმების ერთობლიობა და კლასტერის რეზიდენტი ფირმების კვალიფიკაციის მაღალი დონე.[10]

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დახასიათება ყველაზე უფრო მიესადაგება ინოვაციურ კლასტერებს. ეკონომიკური კლასტერების ზრდის ბირთვად შეიძლება მსხვილი სამრეწველო საწარმოებიც მოგვევლინონ. ეს კლასტერები ყოველთვის არ აერთიანებენ მაინცა და მაინც მცირე კერძო კომპანიებს. კლასტერების ნაწილი შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, მსხვილი საწარმოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ლ. ე. იანგი იმ მთელი რიგი უპირატესობების წარმოქმნაზეც მიუთითებს, რომლებიც წარმოების კლასტერული ორგანიზებისას ვლინდება. კლასტერებში გაერთიანებული ფირმები დადებით ეფექტებს ქმნიან სამუშაო ძალის ხარისხის ამაღლებით, დარგობრივი კვლევებით, ტექნოლოგიების დაჩქარებული განვითარებით. ეს ეფექტები აიაფებენ წარმოების პირველად ფაქტორებს, რაც მოსდევს ნოვაციების გამოყენების მაღალეფექტიანობას და მწარმოებლურობის ზრდას, ეკონომიკური კლასტერების რეზიდენტებს შორის იდეების გაცვლას და საწარმოებისათვის კადრების შეჩევის შესაძლებლობას. იანგი ხაზს უსვამს, ასევე, კლასტერის დინამიკურ თვისებებს და ინოვაციური იდეების შემუშავების სტიმულირების უნარს.

ვოლფგანგ პრაისი ხაზს უსვამს იმას, რომ კლასტერის ფორმირება „მთავრობისა და ბიზნესის ურთიერთნდობის აღდგენისა და სამეწარმეო საზოგადოებად იზოლირებულ საწარმოთა ტრანსფორმაციის ხერხია"[11]. კლასტერიზაცია გარკვეულწილად წარმოადგენს ახალ მიდგომას მეურნე სუბიექტების დარგობრივი განლაგების ყველა უპირატესობისა და მაღალეფექტიანი ტერიტორიული მენეჯმენტის გამოყენების მიმართ. კლასტერი აერთიანებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებსა და ბიზნეს-სტრუქტურების წარმომადგენლებს. პრაისის კვლევათა ძირითადი ღირსება, ჩვენი აზრით, არის კლასტერის შესწავლა კონკრეტული ტერიტორიისა და კლასტერებში ხელისუფლების ორგანოების როლის კუთხით. ამავე დროს, ამ ავტორთან ბოლომდე კარგად არაა ახსნილი ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის უკუკავშირის დამყარების მექანიზმი კლასტერის ფარგლებში და ის უპირატესობები, რომლებსაც კლასტერი უზრუნველყოფს სხვა ფორმის ინტეგრაციულ გაერთიანებებთან შედარებით.

დ. იაკობსმა, ლ. დემანმა და ს. როზენფელდმა გააფართოვეს კლასტერის ცნების შინაარსი. ჩატარებული კვლევის პირველ ეტაპებზე ეს მეცნიერები იყენებდნენ ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციული ეკონომიკური კლასტერების განმარტებას, რაც ამ ავტორთათვის სხვა განმარტებათა ბაზას წარმოადგენს. იაკობსი და დემანი აღნიშნავდნენ, რომ ტერმინ „კლასტერის" უნიფიცირებული ერთადერთი სწორი განმარტება არ არსებობს და ყოველი არსებული მიდგომა გარკვეული მეცნიერული ღირებულებით ხასიათდება.[12] მოგვიანებით იმ ძირითადი ფაქტორების გამოსავლენად, რომლებიც ეკონომიკური კლასტერის განმარტებისთვისაა გამოყენებული, იაკობსი, დემანი და როზენფელდი გასცდნენ ვერტიკალური და ჰორიზონტალური კლასტერების განმარტებათა ფარგლებს.

ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის ამ ავტორებმა აქცენტი გააკეთეს ეკონომიკური კლასტერების ტერიტორიული გაერთიანების პრინციპზე, მრეწველობის სხვადასხვა დარგის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ კავშირებზე, საერთო ტექნოლოგიების გამოყენებაზე, კლასტერის ისეთი „ბირთვის" არსებობაზე, რომელიც შიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც მსხვილი საწარმოთი, ისე სამეცნიერო ცენტრით.

როზენფელდი ეკონომიკური კლასტერის განმარტებისათვის შემდეგ კრიტერიუმებს იყენებს: ზომა, ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა, წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურების დიაპაზონი. ამასთან, მას სწორად არ მიაჩნია კლასტერის განმარტება მხოლოდ დარგების

მასშტაბებით ან დასაქმების რაოდენობით და ხაზს უსვამს მთელი რიგი ეფექტიანი კლასტერების განთავსების ფაქტს მრეწველობის მცირე დარგებში. ეკონომიკურ კლასტერს ეს ავტორი უწოდებს იმ მსგავსი, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემავსებელი კომპანიების გეოგრაფიულად შემოსაზღვრულ კონცენტრაციას, რომელთაც აქვთ საქმიან გარიგებათა განხორციელების არხები, ინფრასტრუქტურა, შრომისა და მომსახურების ბაზარი, აგრეთვე, სარგებლის მიღების და რისკების განაწილების უნარი. მეცნიერი ხაზს უსვამს კლასტერის გეოგრაფიულ შემოსაზღვრულობას, მაგრამ მისი მკაფიო სივრცობრივი საზღვრები არ არსებობს. ამ ავტორის კვლევათა დიდი ღირსებაა შიდაკლასტერულ ურთიერთკავშირთა მნიშვნელობის მითითება, რომელიც ეჭრდნობა არა მარტო საერთო შესაძლებლობებს, არამედ ერთობლივ რისკებსაც.[13]

ამავე დროს, როზენფელდი იძლევა კლასტერის ცნების საკმაოდ ვიწრო ფორმულირებას. კლასტერის სტრუქტურის განსაზღვრაში ავტორი არ განიხილავს ასოციაციების, ხელისუფლების ორგანოებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა როლს. ამგვარი განმარტება უფრო მეტად მიესადაგება ქსელურ გაერთიანებებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქსელები ეკონომიკური კლასტერების ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების საფუძველია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური კლასტერი, ჩვენი აზრით, უფრო მასშტაბური გაერთიანებაა, რომელიც უფრო რთული სტრუქტურითა და ელემენტების ურთიერთკავშირებით ხასიათდება.

კ. კეტელსი განსაკუთრებულ აქცენტს კლასტერების განვითარების დინამიკაზე აკეთებს. მან აღმოაჩინა კლასტერების განსხვავებული მოძრაობა, რომელთა შორის შეგვიძლია გამოვყოთ სტატიკური და დინამიკური კლასტერები. ეს მეცნიერი მომეტებულ ყურადღებას დინამიკურ კლასტერებს უთმობს. თავის ნაშრომებში კეტელსი გამოყოფს დინამიკური კლასტერების შემდეგ პირობებს: მაღალინტენსიური ლოკალური კონკურენცია; კონკურენციის დინამიკური ხასიათი; წარმოების ინოვაციური და სპეციალიზებული ფაქტორების ხელმისაწვდომობა; კლასტერის შიგნით მჭიდრო ურთიერთკავშირები, არაოფიციალურის ჩათვლით; ადგილობრივი მყიდველების მხრიდან მოთხოვნების მაღალი დონე.[14]

კლასტერის ელემენტების სტრუქტურაში კეტელსმა გამოყო:

- ❖ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები;
- ❖ ურთიერთდაკავშირებული სამრეწველო დარგების საწარმოები;
- ❖ საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ ფინანსური ორგანიზაციები;
- ❖ საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

თავის ნაშრომებში კეტელსი მიუთითებს კლასტერების გეოგრაფიულ ლოკალიზებაზე. ამავე დროს, იგი არ იკვლევს კლასტერების ტერიტორიულ საზღვრებს, რის გამოც მათზე საკმაოდ აბსტრაქტული წარმოდგენა ყალიბდება. კლასტერების გეოგრაფიული ლოკალიზება გაკვრითაა ნახსენები კლასტერებს შორის არსებულ განსხვავებათა დახასიათების დროს. კეტელსი ამბობს: „თუ მატერიკს ათი კილომეტრის სიმაღლეზე გადავუფრენთ, ყველა კლასტერი მსგავსია, უფრო ახლოდან ჩატარებული ანალიზისას კი ისინი განსხვავებულია, ზოგიერთი უფრო სტატიკურია, ზოგიერთი უფრო დინამიკური".[15]

ეკონომიკური სისტემის კლასტერიზაციის პრობლემებისადმი უცხოელ ავტორთა მიერ მიძღვნილი კვლევების შესწავლა საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ „კლასტერის" კატეგორიის განმარტების მიმართ თეორიულ მიდგომებში არსებული გარკვეული განსხვავებანი.

სამამულო კვლევების ფარგლებში ამ კატეგორიის გამოყენება საწარმოო ფირმების, მომსახურების სფეროს ფირმებისა და სხვა დაწესებულებების გეოგრაფიული ლოკალიზაციის მიმართ არც ისე დიდი ხნის წინათ დაიწყო. თუმცა, ამგვარი წარმონაქმნები საქართველოში გაცილებით დიდი ხანია არსებობენ. ამის მაგალითია საბჭოთა კავშირის გზათა მიმოსვლის სამინისტრო, რომელსაც ძირითადი წარმოების (ლოკომოტივები, გზები და ა.შ.) გვერდით ჰქონდა საკუთარი სარემონტო საწარმოები, ჯანდაცვის დაწესებულებები, კვლევითი დაწესებულებები, სასწავლო დაწესებულებები, საყოფაცხოვრებო სფეროს საწარმოები და ა.შ., რომლებიც ერთიან სარკინიგზო კომპლექსად იყო გაერთიანებული.

ამ მიმართულებით ჩატარებულ კვლევებს თუ შევეხებით, აღსანიშნავია მ. პ. ვოინარენკოს მიერ შემუშავებული „5ი"-ს კონცეფცია, რომელიც კლასტერის ეფექტიანად მუშაობის პირობებს შეიცავს. ეს პირობებია:

1. ინტერესი. იგი კლასტერის ეფექტიანად მუშაობის პირობაა, რადგან მისი რეზიდენტები თანამშრომლობით უნდა იყვნენ დაინტერესებული.

2. ინტეგრაცია. ეს გულისხმობს კლასტერული მიდგომის გამოყენებას საწარმოთა თანამშრომლობის პროცესში ტერიტორიებისა და დარგების დონეზე, როცა მეცნიერებას ხელისუფლების ორგანოები უჭერენ მხარს.

3. ინფორმაცია: სპეციფიკური ცოდნის ხე-

ლმისაწვდომობა და გაცვლის შესაძლებლობა, კარგახსნილობა, იმ მონაცემთა ბაზის ფორმირება, რომლებიც უპირატესობათა მიღებას უზრუნველყოფენ შრომის საგნების, პროდუქციის გასაღებისა და სამუშაო ძალის ბაზრებზე.

4. ინოვაციები. ისინი კლასტერების მონაწილეებისათვის უზრუნველყოფენ ახალ შესაძლებლობათა რეალიზაციას კონკურენტულ გარემოში.

5. ინიციატივა. საქმიანობის სხვადასხვა სფეროს ავტორიტეტულ წარმომადგენლებს თანამშრომლობის ეფექტიანი სისტემის ფორმირების შემთხვევაში უნარი აქვთ „...დააინტერესონ და საქმით დაამტკიცონ კლასტერების სარგებლიანობა როგორც ტერიტორიისთვის, ისე თვით მათი წევრებისთვისაც".[16]

ხსენებულმა ავტორმა კლასტერების შემდეგი ნიშან-თვისებები გამოყო: კლასტერის მონაწილეებს შორის კარგად აგებული ურთიერთკავშირების არსებობა, კოოპერაცია და კონკურენცია, მოთხოვნაზე ორიენტირება, განვითარების კლასტერული და რეგიონული სტრატეგიების შესაბამისობა. ამ ნიშან-თვისებებს ბევრი რამ აქვთ საერთო პორტერის მიერ ფორმულირებულ კონკურენტულ უპირატესობათა კონცეფციასთან.

მ. ვოინარენკოს ნაშრომების ღირსებად ჩვენ მიგვაჩნია გარემომცველი სინამდვილისადმი კლასტერული მიდგომის ადაპტაციის კონკრეტული მექანიზმების შემუშავება. ამ ნაშრომების საფუძველზე შესაძლებლად მიგვაჩნია გამოვყოთ ხსენებული მექანიზმების სამი ძირითადი ბლოკი.

პირველი ბლოკი მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, მოქალაქეთა მენტალიტეტის და ბიზნეს-საზოგადოებათა ქცევის ტრანსფორმირებას. მეორე გულისხმობს რეგიონული ეკონომიკის განვითარებას, რომელიც ეყრდნობა ცალკეული რეგიონების ფარგლებში მოწინავე და პერსპექტიული სფეროების გამოყოფას; რეგიონის რესურსების ეფექტიანად გამოყენებას; რეგიონებში კლასტერების ჩამოყალიბებას; რეზიდენტი ფირმების მიერ სივრცობრივი განლაგების უპირატესობათა ამოქმედებას. მესამე ბლოკი აერთიანებს ეკონომიკური, ინტეგრაციული და ინფორმაციული ქსელების განვითარებას, რასაც უზრუნველყოფს კლასტერების გაერთიანება ქსელებში ხელისუფლების ორგანოების, ბიზნეს-საზოგადოებების, საბაზრო ინფრასტრუქტურისა და ასოციაციების ურთიერთქმედების საფუძველზე.

ჩამოთვლილი მექანიზმების საფუძველზე რეგიონული ეკონომიკის განვითარება სტიმულს აძლევს რეგიონში განათლებასა და მეცნიერებას, რაც მოსდევს კლასტერის საჭიროებებისათვის კვლევით სამუშაოთა ჩატარებას, განათლების ხარისხის ამაღლებას, ინოვაციურ ტექნოლოგიურ გადაწყვეტათა დანერგვას.

ზემოხსენებულ ქმედებებს აქვთ ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერისა და ყველაზე სასიკეთო საინვესტიციო კლიმატის ფორმირების უნარი. გარდა ამისა, ორიენტაცია იცვლება ადგილობრივი ნედლეულისა და მასალების გამოყენებით დამზადებული პროდუქციის გამოშვებაზე, საბაჟო შეზღუდვების გაუქმებაზე, დაბეგვრის ეფექტიანობისა და მოქნილობის ამაღლებაზე, კლასტერის რეზინდენტებისათვის შედავათების გამოყენებაზე და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე.

ამ დროს დადებითი შედეგის მიღწევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამი სექტორის - სახელმწიფო, კერძო და აკადემიური სექტორების ურთიერთქმედების სისტემის ეფექტიანობას.

ლ. თაკალანძე კლასტერს ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პრიზმაში განიხილავს. იგი ხაზს უსვამს იმას, რომ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას დიდად განსაზღვრავს მაღალეფექტიანი ინოვაციური რეგიონების არსებობა, რომელთა საზღვრებშიც თავმოყრილია ერთი ან ურთიერთშემავსებელი რამდენიმე დარგის ფირმების მნიშვნელოვანი რაოდენობა. საწარმოთა ამგვარი გეოგრაფიული მეზობლობა, რის წყალობითაც ჩქარდება ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარება, უზრუნველყოფს მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ინოვაციური პროდუქციის მყიდველთა რაოდენობის ზრდას განაპირობებს კლასტერების მიერ წარმოებული პროდუქციის არჩევანის გაფართოება. ამასთან, ტერიტორიული განვითარების მიმართ კლასტერული მიდგომა ინოვაციური ეკონომიკისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების შესაძლებლობას ქმნის.

კლასტერული სტრუქტურის აღწერის დროს ლ.თაკალანძე გამოყოფს მის „ბირთვს". ესაა ის საწარმოები, რომლებმაც თავიანთი მაღალი ეფექტიანობით დაამტკიცეს ამა თუ იმ დარგის განვითარების პერსპექტიულობა, რაც განსაზღვრავს ამ დარგებში კაპიტალდაბანდებათა მოზიდვის შესაძლებლობას. ავტორი აღნიშნავს რეგიონული კლასტერების განვითარებაში სამი ძირითადი ინსტიტუტის მონაწილეობას: სახელმწიფო, კორპორატიული და აკადემიური. ამ დროს პირველხარისხოვანი როლი აკადემიურ ინსტიტუტებს ენიჭება, რაც სავსებით ლოგიკურია ინოვაციური ეკონომიკის განვითარების თავისებურებათა განხილვისას.[17] ასეთი განმარტება ჩვენ არსრულყოფილად მიგვაჩნია ბირთვზე აქცენტირებისა და კლასტერის სხვა რეზიდენტების როლის გაუთვალისწინებლობის გამო.

კონკურენციის განვითარების კანონზომიერებათა კვლევებში კლასტერულ მიდგომას იყენებენ ა. ბურიაკი და ა. ვორონოვი, რომლებსაც მეურნეობის კლასტერული ორგანიზების უპირატესობებად მიაჩნიათ კლასტერის ფარგლებში არსებული კონცენტრაცია და კოოპერაცია, თვით კლასტერს კი იმ საწარმოთა მოწესრიგებულ და მდგრად ერთობლიობას უწოდებენ, რომლებიც მაღალი კონკურენტუნარიანობის მქონე პროდუქციას უშვებენ.[18] კლასტერი დარგის გეოგრაფიულად ლოკალიზებული ელემენტია.

კლასტერის ნიშან-თვისებებად ამ ავტორებმა გამოყვეს: სპეციალიზაცია, მოწესრიგებულობა, მდგრადობა და ლოკალიზება. მათ შორის ლოკალიზება და სპეციალიზაცია კლასტერის სავსებით ტრადიციული ნიშან-თვისებებია ავტორთა უმეტესობის თვალსაზრისით. მდგრადობასა და მოწესრიგებულობას განაპირობებს კლასტერის შიდა ვერტიკალური და ჰორიზონტალური ურთიერთკავშირები.

ამასთან, ხსენებული ავტორები აღნიშნავენ, რომ ადგილობრივ პირობებში ყველაზე უფრო მიზანშეწონილია კლასტერების ფორმირება საქართველოს სუბიექტის საზღვრებში. ჩვენი აზრით, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების გამოყენება სრულიად ლოგიკური ღონისძიებაა, თუმცა, ეს არსებითად ავიწროებს კვლევის სფეროს. კლასტერული მიდგომა არ გამორიცხავს კლასტერების ფორმირებას ან გადაზრდას ქვეყნის ცალკეული სუბიექტების საზღვრებს მიღმა, თუკი საზღვრისპირა ტერიტორიებზე კონკურენტული უპირატესობები არსებობს.

ე. ბარათაშვილი და ლ. თაკალანძე კლასტერის სტრუქტურის ელემენტებს მიაკუთვნებენ:

- საბოლოო პროდუქტის მწარმოებელ საწარმოებს;
- წარმოების ფაქტორების მიმწოდებელ საწარმოებს;
- სახელისუფლებო სტრუქტურებს;
- უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს;
- გამსაღებელ საწარმოებს;
- სერვისულ კომპანიებს;
- ფინანსურ ინსტიტუტებს;
- მომიჯნავე დარგების საწარმოებს;
- თანამდევი პროდუქციის მწარმოებელ კომპანიებს;
- ინფრასტრუქტურულ პროვაიდერებს;
- სააგენტოებს;
- ასოციაციებს.

ავტორებმა გამოყვეს ურთიერთკავშირების ორი ტიპი - ჰორიზონტალური და ვერტიკალური, რაც აუცილებელია კლასტერის სტრუქტურის მკაფიოდ აღწერისათვის. მათ ნაშრომებში ასევე ჩამოყალიბებულია კლასტერული სტრუქტურის განსაზღვრის ძირითადი ეტაპები: მსხვილი საწარმოების ან მათი კონცენტრაციის ანალიზი; სხვა საწარმოებთან ვერტიკალური ურთიერთკავშირების ანალიზი; იმ დარგების ჰორიზონტალური კავშირების ანალიზი, რომლებიც ერთსა და იმავე არხებს გადიან ან თანამდევ პროდუქციასა და მომსახურებას აწარმოებენ; იმ საწარმოების ანალიზი, რომლებიც სპეციფიკური ტექნოლოგიების, კაპიტალის, ინფორმაციისა და ინფრასტრუქტურის გენერირებას უზრუნველყოფენ; კლასტერის რეზიდენტების გაერთიანებათა ანალიზი; ხელისუფლების იმ ორგანოების ანალიზი, რომლებსაც აქვთ კლასტერის ფარგლებში საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის სტიმულირების უნარი.[19]

ლ. ოლეინიკი კლასტერს იმ ურთიერთობათა კონცეფციის ანალიზის პრიზმაში იკვლევს, რომელიც სიახლოვეს ეფუძნება. კლასტერული მოდელის საყრდენად მას მიაჩნია „სივრცის წმინდა გეომეტრიული გაგება". იგი აღნიშნავს, რომ აბსტრაქტული გეოგრაფიული მოდელი ჯერ კიდევ ი. ფონ ტიუნენმა ჩამოაყალიბა და მას საფუძვლად ედო ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ცენტრიდან სიშორე და საერთო ფართობი. საერთო „ბირთვის" გარშემო წარმოების კონცენტრირების ძირითად მიზეზებად აქ სატრანსპორტო ხარჯები განიხილება. გარდა ამისა, ბიზნესის კონცენტრაციას განაპირობებს რეგიონული მიმზიდველობა. მეცნიერი იმაზეც საუბრობს, რომ კლასტერის ფარგლებში ლოკალური თანამშრომლობა უნივერსალურზე უფრო ეფექტიანი შეიძლება იყოს.[20]

რეგიონის ეკონომიკის კლასტერიზაციის პროცესს ი. კორჩაგინი რამდენიმე ფირმის მიერ მომიჯნავე პროდუქციის წარმოების ზრდის წახალისების შედეგს უწოდებს. ამის ინიციატორია იმ ლიდერი ფირმის შეკვეთა, რომელიც რეგიონში ეკონომიკური ზრდის „წერტილად" გვევლინება. კლასტერის არანაკლებ მნიშვნელოვანი თვისებაა მისი საპროექტო ხასიათი.[21]

კლასტერის სტრუქტურაში ეს ავტორი მხოლოდ ორ ელემენტს გამოყოფს: კლასტერის „ბირთვს" და სხვა საწარმოებს. იგი უპასუხოდ ტოვებს კითხვას, თუ კონკრეტულად რას გულისხმობს „რეგიონის" ცნებაში და არც კლასტერი აქვს განმარტებული. თუმცა, მის მიერ შემოთავაზებული მიდგომის ერთ-ერთი არსებითი ღირსებაა რეგიონული კლასტერების მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის წამყვან მიმართულებათა გამოყოფა. მაგალითად, კლასტერული პოლიტიკის მიზნად ავტორი განიხილავს იმ მსხვილი პროექტების მხარდაჭერას, რომელთა განხ-

ორციელება მხოლოდ კლასტერის რეზიდენტების ხარჯზე ძალიან ძნელი იქნებოდა.

კლასტერის პოტენციალის შეფასებისას გ. ცაავა ყურადღებას აქცევს რისკების დივერსიფიცირების შესაძლებლობებს. ავტორი ასევე საუბრობს კლასტერების შიგნით სინერგეტიკული ეგექტების გაჩენაზეც. ჩვენი აზრით, აქ რამდენიმე წინააღმდეგობა ჩნდება: ერთი მხრივ, კლასტერი რისკების დივერსიფიკაციის ხერხია, მეორე მხრივ, სინერგეტიკულმა ეფექტმა მნიშვნელოვნად შეიძლება გაზარდოს კლასტერის შიდა რისკები. ეს იმიტომ, რომ კლასტერის თითოეული რეზიდენტი ფირმა დიდადაა დამოკიდებული სხვა მონაწილეთა მუშაობაზე და ერთ-ერთი მათგანის მუშაობის დაბალი ეფექტიანობა აუცილებლად აისახება სხვებზეც. ეს პრობლემა უფრო დეტალურ შესწავლას ითხოვს, რამაც უნდა მოგვცეს პასუხი იმაზე, თუ რის ხარჯზე შეიძლება რისკების დივერსიფიცირების უზრუნველყოფა კლასტერის შიგნით.

ა. მიგრანიანი კლასტერს უწოდებს „ეკონომიკური საქმიანობის ურთიერთდა-კავშირებული და ყველაზე ეფექტიანი სახეების თავმოყრას, ე.ი. კონკურენციაში წარმატებული იმ ფირმების ურთიერთდაკავშირებული ჯგუფების ერთობლიობას, რომლებიც სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის „ოქროს კვეთას" აყალიბებენ და მაღალ კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფენ დარგობრივ, ეროვნულ და მსოფლიო ბაზრებზე".[22]

ავტორი ხაზს უსვამს ინოვაციური კლასტერების როგორც მაღალი კონკურენტუნა-რიანობის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი ხერხის დიდ მნიშვნელობას. აქ ინოვაციურ კლასტერად მოიაზრება იმ სამრეწველო საწარმოების, ხელისუფლების ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სამეცნიერო ცენტრების გაერთიანება, რომლებიც ეკონომიკური სისტემების კოორდინირების ორი ხერხის - საბაზრო მექანიზმისა და შიდასაფირმო იერარქიის უპირატესობათა სრულად გამოყენების შესაძლებლობას ქმნიან. ეს ხელს უწყობს ახალი ცოდნის განაწილების დაჩქარებას და ეფექტიანობის ზრდას. ინოვაციურობა ეკონომიკური კლასტერების მუშაობის სავალდებულო პირობაა. თუმცა, ჩვენი აზრით თვით, ცნება „ინოვაციური კლასტერი" საკმაოდ ვიწროდ გვეჩვენება და მისი გამოყენება მხოლოდ „ერთბირთვიანი" კლასტერული მოდელის ფარგლებშია შესაძლებელი, სადაც ბირთვის ფუნქციებს უნივერსიტეტი ან სამეცნიერო ცენტრი ასრულებს.

ამიტომ ა. მიგრანიანის მიერ ფორმულირებული ინოვაციური კლასტერის განმარტება ვერ გამოარჩევს მას სხვა სახის კლასტერებისაგან, აქვს ზოგადი ხასიათი და მისი გამოყენება სავსებით შესაძლებელია ყველა სახის კლასტერის აღწერისას.

ა. პრაზდნიჩნიხი აფიქსირებს, რომ კლასტერი თავისებური „რეგიონული ეკოსისტემაა", რომელსაც უნარი აქვს უზრუნველყოს კლასტერის ძირითად მონაწილეთა მაღალი კონკურენტუნარიანობა.[23] ამ დროს კლასტერის სტრუქტურა წარმოგვიდგება სამდონიან პირამიდად, რომელიც ბირთვის, პერიფერიისა და კლასტერის გარსისაგან შედგება. ავტორი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს კლასტერის სტრუქტურას. მისი აზრით, კლასტერის ბირთვი შეიძლება სამრეწველო ორგანიზაცია იყოს.

ა. პრაზდნიჩნიხი დიდ ადგილს უთმობს საწარმოთა სხვა ფორმის გაერთიანებებიდან კლასტერების განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფას და აღნიშნავს, რომ კლასტერი არაა ჰოლდინგური სტრუქტურა ან ბიზნეს-ინკუბატორი, არც საწარმოთა ასოციაცია, ტექნოპარკი და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა. ამავე დროს, გაერთიანებათა ნებისმიერი ხსენებული ფორმა შეიძლება კლასტერის ნაწილი იყოს.

ხსენებული ავტორი ასაბუთებს იმ დებულებას, რომ ტერმინ „სამრეწველო კლასტერის" გამოყენება პრინციპში არაკორექტულია. ამ ტერმინის გამოყენებას ის კონტექსტი უნდა განაპიროებდეს, რომელშიც მის ხმარებას აპირებენ. კლასტერის წამყვან რეზიდენტებად ხშირად სამრეწველო საწარმოები გვევლინებიან, რაც ამართლებს სწორედ „სამრეწველო კლასტერის" ტერმინის გამოყენებას.

„რეგიონული კლასტერის" ცნების მიმართ მიდგომების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ეკონომიკურ კლასტერს ჩვენ ვუწოდებთ იმ ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობის გამოვლენის ინსტიტუციონურ ფორმას, რომლებიც ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი კომპანიების მყარი რეგიონულ-დარგობრივი პარტნიორობის დროს ჩნდება. ეს კომპანიები ერთიანდებიან ინოვაციური განვითარების ერთიანი პროგრამით, რომელიც როგორც თვით კომპანიების, ისე მთლიანად რეგიონის კონკურენტუნარიანობის დონის გაზრდისკენაა მიმართული.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად არსებობს კლასტერების მსგავსი, მაგრამ საკუთარი სპეციფიკის მქონე ეკონომიკური სტრუქტურების მთელი რიგი განმარტებები. მაგალითად, მთელი რიგი მეცნიერ-ეკონომისტები კლასტერებს „სამრეწველო რაიონებს" უწოდებენ. ასეთი გაგება დამახასიათებელია იტალიელი მკვლევარებისათვის. ისინი საწარმოთა ისეთ გაერთიანებებზე საუბრობენ, რომლებიც გამოდიან შრომის ჩვეულებრივი დანაწილებისა და ფირმებს შორის სპეციალიზაცი-

ის ჩარჩოებიდან.[24]

დიდი მეცნიერული ღირებულება აქვთ ბიზნესის ქსელური ორგანიზაციის კვლევებს. აღნიშნულ ცნებას უპირატესად მაშინ იყენებენ, როცა კომპანიების გაერთიანებისას „გარე ეკონომიის" ეფექტი ისეთივე მნიშვნელოვანი ხდება, როგორც ის კონკურენტული უპირატესობები, რომლებიც დამატებით ყალიბდება ერთობლივი გამოცდილების გავრცელებით. სიტუაციის განვითარების ამგვარი სცენარისას რეზიდენტების სივრცობრივი ლოკალიზება სავალდებულო არაა.

ერთმანეთისგან მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ „კლასტერი" და კომპანიების „ქსელი". „ქსელს" იყენებენ იმ მომცრო ორგანიზაციების ჯგუფის მიმართ, რომელთა საქმიანობა მკაფიოდ დასმული ამოცანების მიღწევისკენაა მიმართული: ყველასთვის საერთო პრობლემების გადაჭრა, საერთო ეფექტიანობის ამაღლება და ახალი ბაზრების მოძიება. რაც შეეხება კლასტერს, იგი გულისხმობს იმ საწარმოთა სივრცობრივ და დარგობრივ კონცენტრაციას, რომლებიც საერთო ძალისხმევით ამზადებენ და ჰყიდიან მსგავს ან ურთიერთშემავსებელ საქონელს. ჩვენ კლასტერები უფრო ეფექტიან და სიცოცხლისუნარიან სტრუქტურებად მიგვაჩნია იმ პირობით, რომ ისინი აერთიანებენ ეკონომიკური სუბიექტების მთელ ძეწკვს, რომლებთანაც მათ ასე თუ ისე აქვთ კავშირები. ჩვენი აზრით, კლასტერულ სტრუქტურაში უნდა შედიოდნენ:

1. ნედლეულის, მასალებისა და მოწყობილობის მიმწოდებლები;
2. რეგიონული სახელისუფლებო სტრუქტურები;
3. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები;
4. ფინანსური ინსტიტუტები;
5. სამრეწველო ასოციაციები;
6. საქონლისა და მომსახურების მომხმარებლები;
7. კონსალტინგური კომპანიები;
8. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები;
9. ლიცენზირებისა და კონტროლის სფეროს ორგანიზაციები.

არც თუ იშვიათად საწარმოთა კლასტერებს კონტრაქტინგის იდეებს უკავშირებენ. მიაჩნიათ, რომ კონტრაქტების ქსელით დაკავშირებულ კომპანიებს ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილის კოორდინირების უნარი აქვთ იმ ბაზრის დახმარებით, რომელზეც აგენტები საქონელსა და მომსახურებას ჰყიდიან და ყიდულობენ. ამ შემთხვევაში კომპანიების შიდასაფირმო დანახარჯების მოცულობათა ზრდა ნაკლებად საყურადღებოა იმ მცირე ფირმების ორგანიზებასთან შედარებით, რომლებსაც აქვთ უფრო დინამიკურად მუშაობისა და საკუთარ თავზე რისკების აღების უნარი. ამგვარად, კონტრაქტინგი მნიშვნელოვანი საბაზრო სტიმულია ბიზნესის მცირე ფორმების პროგრესირებისათვის.[25] იმ კლასტერების ფარგლებში, რომლებიც ერთმანეთთან აერთებენ მცირე საწარმოებსა და მაღალკვალიფიციურ მოტივირებულ თანამშრომლებს, კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის შენარჩუნებისთვის აუცილებელი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მრავალი პროცესი უფრო მეტი სისწრაფითა და სიხშირით მიმდინარეობს, ვიდრე მსხვილი კორპორაციების ჩარჩოებში.

კლასტერების მიმართ პრაქტიკული და თეორიული ინტერესის ზრდა გამოიწვია, ასევე, რეგიონული ეკონომიკის მობილობის ამაღლებაზე მისი ზემოქმედების უნარმა. ეს დიდად განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: რეგიონული ეკონომიკური განვითარების ახალ პარადიგმას ის განსაზღვრავს, რომ გლობალური ეკონომიკა რეგიონულ ეკონომიკათა მრავალპლანიანი ურთიერთობების სისტემას წარმოადგენს.

ამასთან, რეგიონები ერთმანეთს უკავშირდება არა რაღაც აბსტრაქტული მსოფლიო გეოეკონომიკური სივრცით, არამედ კონკრეტული ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური სისტემებით: პირდაპირი ეკონომიკური ან საშუამავლო კავშირების სისტემით, საერთაშორისო სავაჭრო ინსტიტუტებით, ტრანსნაციონალური კორპორაციებით, ფინანსური ინსტიტუტებით და ა.შ.

კლასტერის განმარტების მიმართ ძირითადი მიდგომების განხილვა იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ მათ აბსოლუტურ უმრავლესობას ორკონცეპტუალური ასპექტი უდევს საფუძვლად: ურთიერთდაკავშირებულ კომპანიათა სივრცობრივი ლოკალიზაცია და ამ კომპანიების ის კონკურენტული უპირატესობები, რომელთა რეალიზება კლასტერული მოდელის ბაზაზე ხდება. ამგვარად, კლასტერი, საზოგადოდ, იმ ფირმათა გეოგრაფიულად ლოკალიზებული ჯგუფია, რომლებიც ფუნქციონირების დროს ეფექტიანად აამოქმედებენ ხოლმე იმ გეოგრაფიული რაიონის კონკურენტულ უპირატესობებს, რომლებშიც ისინი იმყოფებიან.

ჩვენ ვიზიარებთ ამ მიდგომას და კლასტერს განვიხილავთ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჭრილში, გარემოს მუდმივი ფლუქტუაციის პირობებში და კონკურენტულ უპირატესობათა თეორიის გათვალისწინებით. ამ ასპექტში კლასტერული პოლიტიკა ის ადაპტაციური ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც რეალიზდება რეგიონის კონკურენტული უპირატესობები გლობალურ ბაზრებზე ეკონომიკურ წინააღმდეგობათა გამწვავების პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Маршалл А. Принципы экономической науки. – М.: Прогресс, 1993.

2. Куценко Е.С. Зависимость от предшествующего развития пространственного размещения экономических агентов и практика оценки агломерационных эффектов // Журнал новой экономической ассоциации. – 2012. - № 2. - С. 12.

3. Шаститко А.Е. Кластеры как форма пространственной организации экономической деятельности: теория вопроса и эмпирические наблюдения // Балтийский регион. – 2009. - № 2. – С. 18.

4. Tolenado J. A Propos des Filieres Industrielles // Revue d'Economie Industrielle. – 1978. - №4. - P. 149-158; Soulie D. Filieres de Production et Integration Vertical // Annales des Mines. – 1989, Janvier. - P. 21-28.

5. Dahmen E. Entrepreneurial Activityand the Developmentof SwedishIndustry, 1919-1939. – Stockholm, 1950.

6. Mattson L. G. Management of Strategic Change in a 'Markets-as-Networks' Prespektive // The Management of Strategic Change, edited by A. M. Pettigrew. - Oxford, New York: Basil Blackwell, 1987.

7. Портер М. Конкуренция. – М.: Вильямс, 2005. – С. 262.

8. Halder G. How does globalisation affect local production and knowledge systems? ThesurgicalinstrumentclusterofTuttlingen, Germany // INEFReport. – 2002. - №57. – P. 38.

9. Сидоров В. П., Шамаева Н. П. Кластеры и территориально-производственные комплексы // Вестник Удмуртского университета. - 2011. - № 6-4. - С. 141.

10. Янг Л.Э. Технопарки и кластеры фирм. - Киев: ПЕРУ, 1995. - С. 5.

11. Прайс В. Роль негосударственной организации как движителя преобразований//Перспективные исследования. – 1999. - № 2. - С. 28.

12. Jacobs D., De Man A-P. Clusters, industrial policy and firm strategy: A menu approach. Technology Analysis and Strategic Management, - 1996. - № 4. – P. 425-437.

13. Rosenfeld S.A. Bringing Business Clusters into the Mainstream of Economic Development // European Planning Studies. - 1997. - № 5. - P. 9.

14. Ketels C/Cluster und Clusterpolitik: Wege zu mehr Wettbewerbsfдhigkeit//Ratio/–2007, №4.

15. Ketels C., Mamedovic O. From clusters to cluster-based economic development // International Journal of Technological Learning, Innovation and Development. – 2008. - № 3. – P. 380.

16. Войнаренко М.П. Кластерные модели объединения предприятий в Украине // Экономическое возрождение России. - 2007. - № 4. - С. 75.

17. Галушкина М. Экономические кластеры как форма функционирования и развития промышленности регина. -М.: Бизнес, 2001.

18. Л. Такаландзе. Кластерный анализ – база управления конкурентоспособностью на макроуровне // Маркетинг. - 2003. - № 1. - С. 16.

19. Воронов А., Буряк А. Кластерный анализ - база управления конкурентоспособностью на макроуровне // Маркетинг. - 2003. - № 1. - С. 18-19.

20. Олейник А. Модель сетевого капитализма // Вопросы экономики. – 2003. - № 8. – С. 137.

21. გ. ცაავა. ადამიანური კაპიტალი. თბილისი, 2005.

22. Мигранян А.А. Теоретические аспекты формирования конкурентоспособных кластеров в странах с переходной экономикой // Вестник КРСУ. – 2002. - №3. – С. 3.

23. Праздничных А. Особые экономические зоны - это не кластеры // Коммерсант. - 2006. - № 51. - С. 50

24. Порфирьева О. Б. Промышленные округа в Италии // География. – 2005. - № 20. – С. 3.

25. Христофорова Л. В., Войтоловский Н. В., Аппакова Н. Д. Структура и классификационные аспекты категории «субконтрактинг» // Проблемы современной